



სარჩელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე:

1. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ სახელი, გვარი (სახელწოდება)	204952676 პირადი (საიდენ.) ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
2223874		
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი:

ნინო გუჯარაიძე ირმა მანათაძე სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	0179, თბილისი, ფალიაშვილის 39ბ, 4სართ. თბილისი, კოსტავას ქ. №76ა, ბ.6 ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა
		ngujaraidze@greenalt.org irmamakhatadze2017@gmail.com

მოპასუხე:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი(საიდენ.) ნომერი	1. მარშალ გელოვანის №6, 0159, თბილისი 2. დ. აღმაშენებლის გამზ.150, 0112, თბილისი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
1. 2 470 101; 2 378 009 2. 2 439 503; 2 439 510		
სახლის ტელ..	სამსახურის ტელ.	მობილური
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა
		1. info@mepa.gov.ge 2. info@nea.gov.ge

საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა
ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge			

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი
ალტერნატიული მისამართი		სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი
სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური
		ფაქსი
		ელექტრონული ფოსტა

დავის საგანი

ქმედების განხორციელების დავალება.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის ადვკრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

022 წლის 14 მარტს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" №22/05-156 წერილით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა:

1. სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის, ამბროლაურისა და ლენტეხის სატყეო უბნების ტერიტორია, საერთო ფართობი - 104 712 ჰა) სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ლიცენზიის გაყიდვისა და აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩატარებული სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი;
2. აუქციონში გამარჯვებულზე ლიცენზიის გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩატარებული სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებლის თეიმურაზ მთივლიშვილის N2022 წლის 19 აპრილის N21/1283 წერილით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 მარტის №22/05-156 წერილის პასუხად ეცნობა, რომ აუქციონის გამართვის პროცესის და გაცემული ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული სიკეთეების შესახებ; წერილით ასევე დასტურდება, რომ მოსარჩელეს არ გადაეცა 2022 წლის 14 მარტის №22/05-156 წერილით მოთხოვნილი არც ერთი დოკუმენტი და ინფორმაცია.

2022 წლის 29 აპრილს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" №22/05-157 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებლის თეიმურაზ მთივლიშვილის 2022 წლის 19 აპრილის N 21/1283 წერილის (რეალაქტი) ბათილად ცნობა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივასათვის" 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 5 მაისის #4676/01 წერილით მოსარჩელეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

ზემოაღნიშნულით პირდაპირ და უშუალო ზიანი მიადგა მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რის გამოც წინამდებარე ადმინისტრაციული სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელის დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

2022 წლის 14 მარტს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" №22/05-156 წერილით მიმართა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა:

1. სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის, ამბროლაურისა და ლენტეხის სატყეო უბნების ტერიტორია, საერთო ფართობი - 104 712 ჰა) სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ლიცენზიის გაყიდვისა და აუქციონის გამართვის შესახებ გადაწყვეტილების და ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩატარებული სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი;
2. აუქციონში გამარჯვებულზე ლიცენზიის გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების მიღებისათვის ჩატარებული სრული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

მტკიცებულება:

დანართი №1 - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 წერილი.

2. ფაქტობრივი გარემოება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებლის თეიმურაზ მთივლიშვილის N2022 წლის 19 აპრილის N21/1283 წერილით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 მარტის №22/05-156 წერილის პასუხად ეცნობა, რომ აუქციონის გამართვის პროცესის და გაცემული ლიცენზიის პირობებით გათვალისწინებული სიკეთეების შესახებ, წერილით ასევე დასტურდება, რომ მოსარჩელეს არ გადაეცა 2022 წლის 14 მარტის №22/05-156 წერილით მოთხოვნილი არც ერთი დოკუმენტი და ინფორმაცია.

მტკიცებულება:

დანართი №2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებლის თეიმურაზ მთივლიშვილის 2022 წლის 19 აპრილის N 21/1283 წერილი

3. ფაქტობრივი გარემოება

2022 წლის 29 აპრილს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" №22/05-157 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა:

1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებლის თეიმურაზ მთივლიშვილის 2022 წლის 19 აპრილის N 21/1283 წერილის (რეალაქტი) ბათილად ცნობა; და
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივასათვის" მის მიერ 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემის დავალება.

მტკიცებულება :

დანართი №3. 2022 წლის 29 აპრილის N22/05-157 ადმინისტრაციული საჩივარი.

4. ფაქტობრივი გარემოება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 5 მაისის #4676/01 წერილით (გადაწყვეტილება) 2022 წლის 29 აპრილის N22/05-157 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47.1 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები საჩივრდება სასამართლოში; აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს განემარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა მოხდეს სასამართლოსათვის მიმართვა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მტკიცებულება:

დანართი №4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 05 მაისის #4676/01 წერილი.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

ა. გაუქმდეს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის N 21/1283 წერილი (გადაწყვეტილება), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 განცხადების მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ;

ბ. დაევალოს - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივასათვის" მის მიერ 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემა.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანამიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანამიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანამიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ.სარჩელი)

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ქმედება, რომლის იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი. აღმაშენებლის გამზ. N150.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

2.1.სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა (ქმედების განხორციელება) და შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ შემოწმდეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის კანონიერება.

2.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე

გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი).

აქედან გამომდინარე, აღნიშნული გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი) ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ემყარება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს და მოსარჩელის მიზანია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება.

2.3. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ეფუძნება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო საკითხის მარეგულირებელი ნორმების არასწორ ინტერპრეტაციას, არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული და მოსარჩელეს უზღუდავს უფლებას, განახორციელოს დემოკრატიულ საზოგადოებაში მონიტორინგის ფუნქცია.

2.4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

2.5. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 17.2 მუხლი, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

2.6. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარით ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“. კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“. კონვენციის მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე მუხლის შემდეგი პარაგრაფების პირობების შესაბამისად ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით დააკმაყოფილონ გარემოსთან

დაკავშირებულ ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში (ბ) ქვეპარაგრაფის შესაბამისად მიაწოდოს აგრეთვე ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან შეეხება ასეთ ინფორმაციას“.

2.7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. ამავე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საიდუმლო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას.

2.8. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის 3 პუნქტისა და „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არის გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია.

2.9. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" წესდების თანახმად ორგანიზაციის მისიაა - ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების გზით, საქართველოს გარემოსა და ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია მიზნად ისახავს მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას; გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას; მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და ადგენის ხელშეწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას; ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.

2.10. საქართველოს კონსტიტუციის 18.2 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ღიაობის პრეზუმფციას აწესებს, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) 28-ე მუხლი. ინფორმაციის თავისუფლება გულისხმობს საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მიღების უფლებას, თუ ის არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას და კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინფორმაციის ღიაობა ადმინისტრაციულ ორგანოებში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, რადგან ის არის სახელმწიფოს მიერ მის მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულებისა და მისი საქმიანობის გამჭვირვალების გარანტი, რომელიც საზოგადოებას აძლევს შესაძლებლობას გაუწიოს კონტროლი ხელისუფლების მოქმედებებს და შებოჭოს ისინი, თუ ადგილი ექნება მისი დისკრეციულული უფლებამოსილების გადამეტებას თუ კანონმუსაბამობას.

ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ 2022 წლის 14 მარტის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - ხელმისაწვდომობა ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარი მოსარჩელეს, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" უზღუდავს უფლებას, განახორციელოს დემოკრატიულ საზოგადოებაში უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მონიტორინგის ფუნქცია.

ამ მხრივ, სასამართლოს ყურადღებას მივაქცევთ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას (TAZC v. Hungary), სადაც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მათი „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ ფუნქციებში ჩარევას წარმოადგენს.

2.11. სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვლადებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა.

2.12. სასკ-ის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლი.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 05 მაისის #4676/01 წერილი, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 29 აპრილის № 22/05-157 ადმინისტრაციული საჩივარი.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სარჩელი შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მოთხოვნებს, კერძოდ:

1.1. სსსკ-ის 177.3 მუხლის თანახმად სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. წინამდებარე სარჩელი შედგენილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშში ასახული კითხვარების მიხედვით, თანამიმდევრობით არის გადმოცემული დავის არსი, სრულყოფილად და თანამიმდევრულად არის გადმოცემული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, ამ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მოსაზრებები, ასევე თანამიმდევრულად არის მითითებული და წარმოდგენილი ამ ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ.სარჩელი).

1.2. სარჩელი სრულად შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში შესაბამის გრაფაში მითითებულია მხარეები, მათი რეკვიზიტები სრულად.

1.3. სარჩელი წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, რომელიც არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, ვინაიდან გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, რომლის იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის 6.

2. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს:

2.1 სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მამასადამე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ზემდგომ ორგანოს სზაკ-ის 178.2 მუხლის თანახმად წარმოადგენს - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომლის ვალდებულებას შეადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, მათ შორის, ა(ა)იპ"მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 29 აპრილის № 22/05-157 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც განსახილველ შემთხვევაში არ განხორციელა.

2.2 სზაკ-ის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას, რაც განსახილველ შემთხვევაში ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ განხორციელა. შესაბამისად არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები.

2.3 სზაკ-ის 47.1. მუხლის თანახმად, პირს აქვს უფლება, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. ამავე კოდექსის 178.1. მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. 178.2. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ხოლო 178.3. მუხლის თანახმად, პირს შეუძლია თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2.4 სასკ-ის 2.5 მუხლის თანახმად, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საცივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა; მოსარჩელემ შეასრულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ადმინისტრაციული საცივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა, თუმცა ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სზაკ-ის 47.1. მუხლი არასწორად განმარტა და

არასწორად უთხრა უარი ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე. დასახელებულ ნორმაზე დაყრდნობით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი არ შეესაბამება სზაკ-ის 178.3 მუხლისა და სასკ-ის 2.5 მუხლის დანაწესებს, რადგან პირს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

2.5. სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები;

მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

დაევალოს მოპასუხეებს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 29 აპრილის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების სრულად წარმოდგენა.

სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი — არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი — 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. საზაზინო კოდეზი)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ არა

რის საფუძველზე??

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოს გარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

დიახ მტკიცებულება: ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 29 აპრილის ადმინისტრაციული საჩივარი

არა

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გედღევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დამთავროთ მორიგებით?

დიახ მორიგების პირობები:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარისათვის.

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან ეს დრო არის საჭირო მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დასრულება გონივრულია.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

თანდართული საბუთების ნუსხა

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 მარტის № 22/05-156 წერილი - 1 ფურცელი;
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელის თეიმურაზ მთივლიშვილის 2022 წლის 19 აპრილის N 21/1283 წერილი - 1 ფურცელი;
3. 2022 წლის 29 აპრილის N22/05-157 ადმინისტრაციული საჩივარი - 11 ფურცელი;
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 5 მაისის #4676/01 წერილი - 1 ფურცელი;
5. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
6. რწმუნებულებები - 2 ფურცელი;
7. ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 20

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13.	სარჩელი ხელმოწერილია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხე	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	ხელმოწერა	სახელი და გვარი
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> პუნქტების ჩამონათვალი		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე _ თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე	13 მაისი, 2022
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.